



**რელიგიური რადიკალიზმი და ტერორიზმი:
„ისლამური სახელმწიფოს“ შემთხვევის შესწავლა**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერება: საერთაშორისო ურთიერთობები

ხელმძღვანელი:

გიორგი სანიკიძე

2020

თამარ ჯანვერდაშვილი

სარჩევი

აბრევიატურები	1
განაცხადი.....	2
რელიგიური რადიკალიზმი და ტერორიზმი:	3
„ისლამური სახელმწიფოს“ შემთხვევის შესწავლა.....	3
აბსტრაქტი.....	3
ტერორიზმი: გამოწვევა გლობალური უსაფრთხოებისათვის	5
კვლევის მიზნები და ამოცანები	6
კვლევის მეთოდოლოგია.....	8
თეორიული ჩარჩო.....	12
ლიტერატურის მიმოხილვა	29
ისლამური რადიკალიზმი და ტერორიზმი	45
„ისლამური სახელმწიფო“ - საერთაშორისო ტერორიზმის ახალი სახე?.....	53
„ისლამური სახელმწიფო“: ზოგადი მიმოხილვა.....	53
„ისლამური სახელმწიფოს“ ნარატივი	55
„ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის საშუალებები	57
რადიკალიზაცია და რეკრუტირება:	61
„ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ-ქაიდას“ შედარება.....	61
რადიკალიზაციის მიზეზები და „ისლამური სახელმწიფოს“ სტრატეგია	62
ფსიქოლოგიური ფაქტორები და ფსიქიკური დარღვევები.....	62
სოციალური გარემო და „ავტორიტეტები“	63
მიგრანტები, ლტოლვილთა ბანაკები და დიასპორა.....	65
ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა,	67

როგორც ჯგუფისადმი კუთვნილება	67
რადიკალიზაცია საპატიმრო დაწესებულებებში.....	68
სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები	69
გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა	70
და პოლიტიკური პრობლემები.....	70
რელიგიური კონფლიქტები და უმცირესობების მარგინალიზაცია:.....	73
ერაყის მაგალითი	73
„დაეშის“ დაპირისპირება სეკულარულ მმართველობასთან	77
„ჩამოშლილი“ სახელმწიფოები.....	77
„ისლამური სახელმწიფოს“ ანტიდასავლური ნარატივი.....	79
დასკვნა	83
ბიბლიოგრაფია:	86

აბრევიატურები

„ისლამური სახელმწიფო“ - ტრანსნაციონალური ექსტრემისტული სალაფიტური ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო სირიასა და ერაყში“ სრული დასახელება.

„დაეში“ - ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ არაბული სახელწოდების „ად-დაულა ალ-ისლამია ფილ-ირაქ აშ-შამ“/“ერაყისა და ლევანტის ისლამური სახალიფოს“ აბრევიატურა.

„ალ-ქაიდა“ - ტრანსნაციონალური ექსტრემისტული ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც სალაფიტურ ჯიჰადისტურ იდეებზე აღმოცენდა და პასუხისმგებელია ათობით ტერაქტზე მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, 2001 წელს, აშშ-ის ქ. ნიუ იორკში განხორციელებულ თავდასხმაზე. აღნიშნული ორგანიზაციის ერაყული ფრთიდან მოგვიანებით, „ისლამური სახელმწიფოს“ ფორმირება მოხდა.

„ალ-ნუსრა“ - „ალ-ნუსრას ფრონტი“, იგივე, „ჯაბჰათ ალ-ნუსრა“; „ალ-ქაიდას“ სირიული ფრთა; სირიის სამოქალაქო ომის ერთ-ერთი გავლენიანი აქტორი, რომელმაც ამბოხებულ დაჯგუფებებს შორის უპირატესობა მოიპოვა და ბაშარ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა.

„თალიბანი“ (თალიბები) - ისლამური ფუნდამენტალისტური პოლიტიკურ-რელიგიური მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა ავღანეთში საბჭოთა კავშირის ინტერვენციის პერიოდში, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი მოჯაჰედების

გაერთიანების საფუძველზე. „თალიბანი“ ავღანეთის დიდ ნაწილს მართავდა 1996-2001 წლებში; დააფუძნეს „ავღანეთის ისლამური საამირო“.

„შარიათი“ - ისლამური სამართალი, ქცევითი კოდექსი. აერთიანებს ისლამის უფლებებს, მორალურ-ეთიკურ და რეგლიგიურ ნორმებს. განსაზღვრავს მუსლიმთა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს.

„ჯიჰადი“ - არაბული წარმოშობის ტერმინი, რომელიც საფუძველს ისლამიდან იღებს და გულისხმობს მუსლიმების მიერ საკუთარი წვლილის შეტანას რელიგიის დაცვაში (და არა მხოლოდ), ასევე, საღვთო ომს. ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაციები აღნიშნული ტერმინის საშუალებით, საკუთარ აქტივობებს მოიხსენიებენ, როგორც ბრძოლას რელიგიის დაცვის სახელით.

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჯანვერდაშვილი

20 ივნისი, 2020

რელიგიური რადიკალიზმი და ტერორიზმი:

„ისლამური სახელმწიფოს“ შემთხვევის შესწავლა

აბსტრაქტი

ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეები ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. უკანასკნელი წლების მანძილზე არაერთი ქვეყანა გახდა საკუთარი მოსახლეობის რადიკალიზაციისა და ტერორისტული ორგანიზაციების იდეების მიმართ განსაკუთრებული მოწყვლადობის რისკის წინაშე. ამ კუთხით, ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია და საკუთარ რიგებში ათობით ათასი მხარდამჭერის მობილიზება შეძლო როგორც ისლამურ სამყაროში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, რელიგიური ტერორიზმისა და რადიკალიზაციის მიზეზებისა და წინაპირობების, ასევე, პირთა რეკრუტირების კუთხით „ისლამური სახელმწიფოს“ განსაკუთრებული წარმატების განმაპირობებელი ასპექტების განხილვა. შესაბამისად, ნაშრომში მოცემულია რადიკალიზაციისადმი მოწყვლადობის განმაპირობებელი ფაქტორები და „დაემის“ მიერ აღნიშნული ფაქტორების საკუთარი მიზნების შესაბამისად გამოყენების მაგალითები. ამასთან, აქცენტი კეთდება „დაემის“ სტრატეგიისა და იდეოლოგიური პროპაგანდის ეფექტურობის, ასევე, იმ მეთოდების მრავალფეროვნებაზე, რომელმაც ამ უკანასკნელის წარმატება განაპირობა.

საგულისხმოა, რომ რადიკალიზაციისა და ისლამისტური ტერორიზმის იდეებისადმი მოწყვლადობის მიზეზებისა და საფუძვლების ძიებას არაერთი კვლევა მიეძღვნა. ამ კუთხით არსებულ განმარტებათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ დრომდე არ არსებობს შეჯერებული პოზიცია. აღნიშნულიდან

გამომდინარე, კვლევა წარმოადგენს არსებული მოსაზრებებისა და თეორიული მიდგომების ერთგვარი სისტემატიზაციისა და მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოკვეთის მცდელობას. ამასთან, კვლევაში მოცემული საკითხები და დასკვნები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას შესაბამისი უწყებების მიერ, რადიკალიზაციის პრევენციისა და კონტრტერორისტული ზომების განხორციელების, ასევე, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების პროგრამების შემუშავების მიმართულებით. გარდა ამისა, საკითხის აქტუალობის მიუხედავად, ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფენომენის შესახებ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია, შესაბამისად, ნაშრომის ერთ-ერთი მიზანია, გარკვეული წვლილის შეტანა ისლამური ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებულ ქართულ კვლევებში.

საკვანძო სიტყვები: ისლამური ტერორიზმი, რადიკალიზაცია, „ისლამური სახელმწიფო“, იდეოლოგია, პროპაგანდა.